

**მედიის მდგომარეობა საქართველოში**

**ანალიტიკური დოკუმენტი ევროკომისიის  
კითხვარის პრიზმაში**

**ძირითადი ტენდენციები და რეკომენდაციები**

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

2022

## მოკლე შეჯამება

ბოლო წლებში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს დემოკრატიული განვითარების და ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ქართული მედიალანდშაფტი ასახავს დემოკრატიული სისტემის გარდამავალ ხასიათს, სადაც მთავრობა ცდილობს მედიის თავისუფლების შეზღუდვას და სამთავრობო პროპაგანდის გავრცელებას. საქართველოს მედიაში არსებული მდგომარეობა განსაკუთრებით მოექცა ევროკავშირის ყურადღების ქვეშ 2022 წელს, როდესაც ევროპარლამენტმა მიიღო უკიდურესად კრიტიკული რეზოლუცია საქართველოში მედიის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში ჯერ-ჯერობით მედია პლურალისტულია, თუმცა სატელევიზიო ნათლად მედიაში ჩანს პოლიტიკური გავლენები. საქართველოში სამი ტიპის სატელევიზიო მედია არსებობს: პირველი, სრულად, ან ნაწილობრივ კონტროლირებული ხელისუფლების მიერ - ტელეკომპანია “იმედი”, “პოსტვ”, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და “რუსთავი 2”. როგორც წესი, აღნიშნული ტელევიზიები ქართული ოცნების პარტიულ ხაზს ატარებენ და მათი სარედაქციო პოლიტიკა პროსახელისუფლებო და ხშირად პროპაგანდისტულია. მეორე ტიპის სატელევიზიო მედიას აქვს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული და პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა. ასეთ არხებს შორისაა „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“ და „კავკასია“. მესამე ტიპის სატელევიზიო მედიას აქვს ულტრამემარჯვენე, ან/და პრორუსული სარედაქციო პოლიტიკა. ასეთ ტელეარხებს შორის გამორჩეულია “ობიექტივი” და “ალტ-ინფო”.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით და საკანონმდებლო კუთხით, საქართველოში დაცულია გამოხატვის თავისუფლება და მედიის უფლებები, რეალობა მკვეთრად განსხვავებულია. კვლევაში ჩანს, რომ მედიაში რეალურად არსებული მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში განსხვავდება საკანონმდებლო რეალობისგან და ოფიციალური შეფასებებისგან, რომლებიც კეთდება ხელისუფლების მხრიდან.

ამ კვლევაში გამოკვეთილია რამდენიმე საგანგაშო ტენდენცია, რომელზე რეაგირება აუცილებელი იქნება ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად და კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმების სრულად დასაკმაყოფილებლად. ჩვენი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის, ასევე ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ არის ის, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ამ ტენდენციებს და მათი მოგვარება აქციონ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროგრესის აუცილებელ პირობად. ამ ტენდენციების გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს მედია ბაზარზე მხოლოდ პროსახელისუფლებო მედია საშუალებების დარჩენა და ოპოზიციური მედიის განადგურება, რაც შეუქცევადად დააზიანებს საქართველოს დემოკრატიას და ევროპულ გზას.

## საქართველოს მედიაში არსებული საგანგაშო ტენდენციები

**\* ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორის ნიკა გვარამიას დაკავება:** ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია 2022 წლის 16 მაისს დააკავეს და 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სხვა მედია საშუალებების მენეჯერები და მფლობელები ასევე არიან დაკავების რისკის ქვეშ. ნიკა გვარამიას დაკავება მოექცა საერთაშორისო პარტნიორების დღის წესრიგში და აისახა როგორც ევროპარლამენტის, ისე სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, Amnesty International-ის შეფასებებში.

**\* ტელეკომპანია ფორმულას დამფუძნებლის დავით კეზერაშვილისთვის საპატიმრო სასჯელის გამოტანა:** 2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანია „ფორმულას“ 51%-ის მფლობელს, დავით კეზერაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 2022 წლის 29 მარტს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით კეზერაშვილსა და თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ალექსანდრე ნინუას თავდაცვის სამინისტროსთვის 5 060 000 მლნ ევროს გადახდა დააკისრა. ამჟამად მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, რომლის საბოლოო შედეგი შეიძლება გახდეს ტელეკომპანია ფორმულას საქმიანობის შეწყვეტა.

**\* მედია მენეჯერების და ტელეკომპანიების დამფუძნებლების სამართლებრივი დევნა პოლიტიკური ნიშნით:** რამდენიმე წელია მიმდინარეობს სასამართლო დავები მედიის მფლობელებისა და დირექტორების მიმართ (ნიკა გვარამია, დავით კეზერაშვილი, ავთანდილ წერეთელი). ამ სასამართლო საქმეების ტემპს მთავრობა აკონტროლებს. მმართველი პარტიისთვის ხელსაყრელ დროს, როგორცაა წინასაარჩევნო, ან არჩევნების შემდგომი პერიოდი, ეს სასამართლო საქმეები ჩქარდება პოლიტიკური ოპოზიციისა და მედიის მფლობელებზე ზეწოლის მიზნით. პოლიტიკურად არააქტიურ სეზონებში სასამართლო საქმეების განხილვა ნაკლები ინტენსივობით, ან საერთოდ არ მიმდინარეობს, რათა შენარჩუნდეს მედიაზე ზეწოლა და შეიქმნას გაურკვევლობის განცდა. სასამართლოს გამოყენება მედიის წინააღმდეგ ბოლო პერიოდის განსაკუთრებულად შემამფოთებელი ტენდენციაა.

**\* ძალადობის ფაქტების გამოუძიებლობა:** ჟურნალისტებზე ძალადობა, ძალადობის ფაქტების არაჯეროვანი, გაჭიანურებული გამოძიება და დამნაშავეთა არასათანადო დასჯა (2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების მასობრივი დარბევა, 2019 წლის 20 ივნისს ჟურნალისტების მიმართ რეზინის ტყვიების გამოყენება და ა.შ.) საქართველოში მწვავე პრობლემად რჩება. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჟურნალისტებზე ძალადობის 90-ზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული. გარდა ძალადობის შემთხვევებისა, რომელთა ჩამდენები ხშირად დაუსჯელი რჩებიან, დაფიქსირდა ჟურნალისტების უკანონო მოსმენის არაერთი შემთხვევა. უმრავლესობა ფაქტებზე გამოძიება ბოლომდე მიყვანილი არ არის, ხოლო ხშირად

გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები სიმბოლურია და არ ემსახურება არც დამნაშავეს დასჯას და არც მომავალში ძალადობის სხვა ფაქტების პრევენციას.

**\* მედიის წინაშე არსებული ფინანსური პრობლემები:** მედიადაწესებულებებში ფინანსური შემოსავლების მკვეთრი შემცირება 2021-2022 წლებში სამი მიზეზის გამო მოხდა: (1) საკანონმდებლო ცვლილებებმა შეზღუდა მედიის ფინანსური შემოსავალი. კერძოდ, ცვლილებები შევიდა კანონში აზარტული თამაშების შესახებ, რომელმაც ფაქტობრივად შეზღუდა სათამაშო კომპანიების მიერ ქართულ ტელევიზიებში რეკლამის განთავსება. (2) Covid-19-ის პანდემიის დროს ბიზნესმა შეამცირა რეკლამაზე დანახარჯები, თუმცა მედია სრულ რეჟიმში რჩებოდა აქტიური. (3) გაიზარდა პოლიტიკური ზეწოლა მედიის დამფინანსებლებზე და რეკლამების შემკვეთებზე. როგორც, ბევრი მედია საშუალება იუწყება, მთავრობა პირდაპირ, ან ირიბად ემუქრება ბიზნესმენებს, რომ არ განათავსონ რეკლამები კრიტიკულ მედია საშუალებებში. ოპოზიციური არხების მფლობელების და მედია მენეჯერების წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო საქმეები განსაკუთრებით უშლის ხელს კრიტიკულ მედია საშუალებებში ფინანსების მოზიდვაში.

**\* ცილისწამების შემთხვევების გამოყენება კრიტიკული მედიის წინააღმდეგ:** უკანასკნელ ორ წელიწადში ტელეკომპანიებისა და სხვა მედია საშუალებების მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ცილისწამების საქმეები და სასამართლო განაჩენები მკვეთრად გაიზარდა, რაც გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს ლიბერალური კანონმდებლობის დარღვევით ხდება. ტელეკომპანიებისთვის აშკარაა ხელისუფლების მიზანი, მიაღწიონ „მსუსხავ ეფექტს“ კრიტიკულ მედიაზე, რათა ისინი ნაკლებად კრიტიკული გახდნენ და დაიწყონ თვითცენზურა. სასამართლოს გადაწყვეტილებების პრობლემური ასპექტი ის არის, რომ ხშირად, ისინი მედიის სანქცირების გასამართლებლად „ევროპულ პრაქტიკას“ მოიხსენიებენ. მაგალითად, სასამართლოს ბევრ გადაწყვეტილებაში სახელმწიფო მოხელეები (მერები, პარლამენტის წევრები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი) მცდარად, თუმცა კოორდინირებულად აპელირებენ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს საქმეზე „მაკვიკარი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ (McVicar vs UK), რათა დაასაბუთონ, რომ ცილისწამების საქმეებში მტკიცების ტვირთი მედიაზეა.

**\* პოლიტიზებული მარეგულირებელი:** პოლიტიზებული კომუნიკაციების ეროვნული კომისია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას ორი ძირითადი გზით ზღუდავს. პირველ რიგში, კომისიას აქვს მედიის მიერ რეგულაციების დარღვევისთვის უკიდურესად მკაცრი და მაქსიმალური ჯარიმების დაწესების პრაქტიკა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება კრიტიკულ მედიასაშუალებებს. მეორე, კომისია კანონმდებლობას ისე განმარტავს, რომ კრიტიკულ მედიას უკრძალავს საკუთარი, პოლიტიკური პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული პოლიტიკური ხასიათის, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული რეკლამის განთავსებას. კომისია ამტკიცებს, რომ ნებისმიერი რეკლამა იმ შინაარსით, რომელიც მას პოლიტიკურად მიაჩნია,

უნდა განთავსდეს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, რომელიც საქართველოში მხოლოდ წინასაარჩევნო ორ თვეს მოიცავს.

**\* ოპოზიციური მედია ხელისუფლების და მმართველი პარტიის მხრიდან მუდმივი ბოიკოტის და შეურაცხყოფის რეჟიმში იმყოფება:** ზოგადად, ურთიერთობა მმართველ პარტიასა და კრიტიკულ მედიას, ასევე ოპოზიციურ პარტიებს და პრო-სახელისუფლებო მედიას შორის უკიდურესად არაჯანსაღია. ხელისუფლების წარმომადგენლები წინასაარჩევნო პერიოდშიც კი კრიტიკული მედიის უწყვეტი ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებიან. ოპოზიციურ პარტიებს თითქმის არასდროს იწვევენ პრო-სამთავრობო მედიის სატელევიზიო გადაცემებსა და დებატებში. უფრო მეტიც, ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული მედიასაშუალებების ჟურნალისტების მიმართ ზოგად დამოკიდებულებას აქვს ბულინგის, იარლიყების მიწებებისა და შეურაცხყოფის სახე. ასეთი დამოკიდებულება შეუძლებელს ხდის მედიის ნორმალურ მუშაობას და უზღუდავს მათ შესაძლებლობას, ჯეროვნად განახორციელონ თავიანთი პროფესიული მოვალეობა.

**\* ხელისუფლების მხრიდან პროპაგანდის, ხშირად ანტი-დასავლური პროპაგანდის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის:** ხელისუფლებასთან დაახლოებული, ან ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი მედია საშუალებები ხშირად იყენებენ კოორდინირებულ პროპაგანდას ოპოზიციის, ოპოზიციური მედია საშუალებების, სამოქალაქო საზოგადოების და ამ ბოლო პერიოდში დასავლეთის და ევროკავშირის წინააღმდეგ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბოლო პერიოდში გავრცელებული გზავნილები, რომ „დასავლეთს სურს საქართველოს ომში ჩაბმა“ და კოორდინირებული შეტევები ევროკავშირის წარმომადგენლებზე, მათ შორის, ევროპარლამენტარებზე და ევროპის და აშშ-ის ყოფილ, თუ მოქმედ თანამდებობის პირებზე. მსგავსი პოლიტიკური მიზნებისთვის პროპაგანდისტული მედიის გამოყენება და ყალბი ფაქტების მიზანმიმართულად გავრცელება კიდევ უფრო ახდენს საზოგადოების და ხელისუფლების ერთმანეთისგან პოლარიზებას და ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებას და ევროპული ინტეგრაციის პროცესს.

## რეკომენდაციები

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების დღის წესრიგში აუცილებლად დადგება კონკრეტული პირობების შესრულება, ევროკავშირში საბოლოოდ გასაწევრიანებლად მნიშვნელოვანი ეტაპების გადასალახავად, იქნება ეს კანდიდატის სტატუსის მიღება, გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყება, თუ კოპენჰაგენის დემოკრატიული კრიტერიუმების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან ხშირად მართავენ დიალოგს ადამიანის უფლებების საკითხებზე. მიგვაჩნია, რომ საქართველოში მედიაში არსებული მდგომარეობა აუცილებლად უნდა იყოს ყველა იმ დიალოგის, თუ პირობის ნაწილი, რომელიც იქნება საქართველოს და დასავლეთის პარტნიორების დღის წესრიგში. ამ კვლევაში მოყვანილია რეკომენდაციები, რომელთა შესრულება მიზნად ისახავს მედიაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას და სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების გაცილებით მაღალ დონეზე დაცვას, ვიდრე ეს დღეს საქართველოში ხდება. უფრო მეტიც, ამ რეკომენდაციების არ-შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს კრიტიკული მედია საშუალებების გაქრობა და საქართველოში მხოლოდ პრო-სახელისუფლებო პროპაგანდასტული მედიის დარჩენა.

**რეკომენდაცია 1.** პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უნდა შეიწყალოს ის მედია მენეჯერები და მფლობელები, რომლებსაც პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მიესაჯა პატიმრობა.

**რეკომენდაცია 2.** პროკურატურამ უნდა შეაჩეროს მედიის მფლობელების და მენეჯერების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიზირებული სასამართლო საქმეები.

**რეკომენდაცია 3.** პროკურატურამ და სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს მედია საშუალებების ქონების, საბანკო ანგარიშების და აქტივების დაყადაღება.

**რეკომენდაცია 4.** პროკურატურამ სათანადოდ უნდა გამოიძიოს ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ყველა ფაქტი, განსაკუთრებით 2021 წლის 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებული საქმეები, ასევე 2020 და 2021 წლების საარჩევნო კამპანიების დროს ძალადობის და ჟურნალისტების უკანონო მოსმენების შემთხვევები და ბრალი წაუყენოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა, ან გეგმავდა ამ დანაშაულებს.

**რეკომენდაცია 5.** კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა შეცვალოს მედიასაშუალებებისთვის მაქსიმალურად მაღალი ჯარიმების დაკისრების პრაქტიკა.

**რეკომენდაცია 6.** კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა შეწყვიტოს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის პოლიტიზებული ინტერპრეტაცია და დაუშვას პოლიტიკური და სოციალური შინაარსის რეკლამები არასაარჩევნო პერიოდში.

**რეკომენდაცია 7.** მმართველმა პარტიამ უნდა შეაჩეროს მაღალჩინოსნების მიერ დამოუკიდებელ მედიაზე ცილისწამებისთვის ჩივილის კოორდინირებული პრაქტიკა.

**რეკომენდაცია 8.** ხელისუფლებამ და სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ მანიპულაციურად „ევროპული პრაქტიკაზე“ დაყრდნობა, როდესაც ისინი ჟურნალისტებს ცილისწამებისთვის უჩივიან. სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არარელევანტურ საქმეებზე მიზანმიმართულად არასწორად აპელირება.

**რეკომენდაცია 9.** ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა შეწყვიტონ კრიტიკულ მედიაზე თავდასხმები და ბოიკოტი და განაახლონ კრიტიკული ტელევიზიების გადაცემებში მონაწილეობა; თავის მხრივ, ოპოზიციის წარმომადგენლებმაც უნდა განაახლონ სახელისუფლებო მედია საშუალებების გადაცემებში მონაწილეობა.

**რეკომენდაცია 10.** პარლამენტი არ უნდა დაუბრუნდეს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინიცირებულ კანონპროექტებს, რომლებიც ხელისუფლებას და კომუნიკაციების კომისიას საშუალებას მისცემს, სიძულვილის ენასთან ბრძოლის საბაბით, ან რელიგიური გრძნობების დაცვის საბაბით, პოლიტიკური პარტიების და მედიის თავისუფალი გამოხატვის შინაარსის დარეგულირება დაიწყოს.

**რეკომენდაცია 11.** საჯარო სამსახურებმა უნდა აღასრულონ კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულებები და მედიის მოთხოვნის შესაბამისად, დროულად და სრულყოფილად გასცენ საჯარო ინფორმაცია.

**რეკომენდაცია 12.** უნდა მოხდეს საზოგადოებრივმა მაუწყებლის დეპოლიტიზაცია, მისი მმართველობის სისტემის და სარედაქციო პოლიტიკის პოლიტიკური კონტროლისგან გათავისუფლება.

**რეკომენდაცია 13.** მმართველმა გუნდმა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფმა მედია საშუალებებმა უნდა შეწყვიტონ ანტი-დასავლური პროპაგანდის კოორდინირებულად გავრცელება და ევროკავშირის და დასავლეთის სხვა პარტნიორი სახელმწიფოების მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ კოორდინირებული პროპაგანდისტული ხასიათის შეტევები.

**რეკომენდაცია 14.** ყველა მედია საშუალებამ უნდა მაქსიმალურად შეიკავოს თავი გადამოუმოწმებელი ინფორმაციის, განსაკუთრებით საგამოძიებო სიუჟეტების გავრცელებისგან და დანერგოს ფაქტების გადამოწმების პრაქტიკა მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით.